ეროვნული ბიბლიოთეკა


# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე".

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 9 — **GEORGIAN OPINION** — NEW YORK, OCTOBER 1956


**ნიუ-იორკი, ოქტომბერი, 1956 წ.**

„ხვალ ვიცხოვრებთ უკეთესად". ეს არის საბჭოთა შინა პროპაგანდის მთავარი ძარღვი. კრემლის ბატონები ამითა ხსნიან და ამართლებენ ცხოვრების იმ აუტანელ პირობებს, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა ორას მილიონიან მოსახლეობას შეუქმნა და უკვე ოთხი ათეული წელიწადი გრძელდება. ხალხის უფლების აყრა. მათი მატერიალურად გაღატაკება და უმძიმესი შრომის უსასყიდლოდ და დაუფასებლად დავალდებულება — მხოლოდ ხვალინდელი უკეთესი ცხოვრების შეპირებით!

საკითხავია: ჩვენს ეპოქაში, როდესაც ფეხადგმულია და ფუძნდება ჰუმანიზმის მაღალი იდეები, როდესაც მთელ მსოფლიოში ბატონდება უკეთილშობილესი აზრი, რომ „ადამიანები იბადებიან თანასწორნი და მათ ღმერთი თანაბრად ანიჭებს უკეთესობისაკენ ლტოლვის უფლებას", ამ დროს უფლება აქვს თუ არა სახელმწიფოს როგორი ფორმისაც არ უნდა იყოს ის: კაპიტალისტური, მარქსისტულ - სოციალისტური თუ კომუნისტური, დემოკრატიულ - რესპუბლიკანური თუ მონარქიული, რომ მან უფლება აყაროს და დაიმონოს ხალხი და ორი-სამი თაობა ხვალინდელ უკეთესობის შეპირებას ამსხვერპლოს?

აი საკითხი, რომელიც თვინიერი და მორჩილი ბუნების რუსის ხალხის წინაშე ოთხი ათეული წლის მანძილზე არც ერთხელ არ წამოჭრილა და რომელიც აღაშფოთებდა კულტურულსა და ეროვნული ღირსების მქონე ყოველ ერს, როგორც აშფოთებს და აწუხებს რუსეთის მიერ დაპყრობილ და საბჭოთა კავშირში შერეკილ არა რუს ერებს.

რა უფლება აქვს სახელმწიფოს, როგორიც არ უნდა კეთილი განზრახვები ჰქონდეს მას, მთელი ორმოცი წლის მანძილზე ხალხი პირუტყვულ მდგომარეობაში იყოლიოს, იძულებითი შრომის ბანაკებში გამოამწყვდიოს, მოუსპოს სულიერი და მატერიალური საზრდო და მთელი თაობები ფიზიკურად გაჟლიტოს მხოლოდ ხვალინდელი უკეთესი ცხოვრების შეპირებით!

აი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა მძიმე ლოდად დააწვა კულტურული კაცობრიობის აზროვნებას და ვიდრე თავისუფლებისა და ადამიანის უფლების პატივისმცემელი სამყარო, ამის გამოსავალს არ მოსძებნის და ამ ამოცანას სამართლიანად არ გადასწყვეტს, ზედმეტია და თავის მოტყუილება მყარ მშვიდობიანობაზე და უშიშრობაზე ლაპარაკი.

მიუხედავად თავზე დატეხილი ორი მსოფლიო ომისა, მაინც ჩვენი საუკუნის პირველი ნახევარი განსაკუთრებული მიღწევებით აღინიშნება, როგორც სულიერ, ისე მატერიალურ-ტექნიკურ სფეროში. საბჭოთა კავშირის გარეშე ამას არ გამოუწვევია მოსახლეობის ცხოვრების პირობების დაცემა. პირიქით, ამ გარემოებამ ასწია და გააუმჯობესა ის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისეთი ქვეყნებისათვისაც კი, რომლებიც ომის პროცესში იყვნენ დამგრეულნი, დამარცხებულნი და გაპარტახებულნი, საკმარისი შეიქმნა პირველი ათეული წელიწადი, რათა არამც თუ აღედგინათ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობა და დაეკმაყოფილებინათ ხალხის ყოველდღიური გარდაუვალი მოთხოვნილებები, არამედ აემაღლებინათ და გაეუმჯობესებინათ ცხოვრების პირობები. ამისათვის არავის არ დასჭირებია არც „ხუთ წლიანი გეგმები", არც იძულებითი და მონური შრომის ბანაკები და არც ხალხის უფლების აყრა და მათი მონებად ქცევა და მათი განუკითხავი ხოცვაჟლეტა. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ „ყოვლის შემძლე და ყოვლის ამტან რუსის დიდ ერში" და რუსის ხიშტით დამონებულ და დღეს „საბჭოთა კავშირად" ქცეულ მოსახლეობაში და მოხდა კიდეც. სადაც რუსის ყველაფრის ამტანმა ხალხმა დაამყარა მარქს-ლენინური სოციალიზმი და ამქვეყნიური „სამოთხე".

ყველა სპეციალისტების შეფასებით, საბჭოთა კავშირში ცხოვრების პირობები ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე აფრიკის, ან აზიის რომელიმე კოლონიალურ ქვეყნებში. „საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის გეგმა", რომელსაც ერთგვარი პროგრესი ეტყობა, გადაიქცა საბჭოთა მოქალაქის და მსოფლიოს აღრევის მთავარ მიზეზად. მთელი საბჭოთა იმპერიის უზარმაზარი ეკონომიური შესაძლებლობა და ენერგია ეწირება სამხედრო აპარატის გაძლიერებას, რომლითაც კრემლის ბატონები ფიქრობენ რუსული იმპერიალისტური ამბიციების დაკმაყოფილებას და მსოფლიოში გაბატონებას. ამას ეწირება ადამიანი, მისი უფლება და მისი კეთილმოწყობა, რაც თანამედროვე კულტურული კაცობრიობის გარდაუვალი საზრუნავია.

მაშ რაშია ის სასწაული, რომელსაც აღფრთოვანებაში მოჰყავს ზოგიერთი მოსკოვის მიერ დაქირავებული დასავლეთელი მოღვაწე და კალმოსანი და რომლებიც ამტკიცებენ, რომ საბჭოეთმა დაიმორჩილა ბუნების ყველა მოვლენა და თავის ქვეყანაში დაამყარა ბედნიერი ცხოვრებაო.

პირუთვნელად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ კრემლის სასწაული საბჭოთა მოსახლეობის სასწაულებრივი დამონება და მათი სასწაულებრივი გაღატაკებაა. ამბობენ, რუსის ხალხის უპირატესობა სწორედ გაჭირვების ატანა და მისი მოთხოვნილების ნაკლულევანებააო. იმასაც ამტკიცებენ, თითქოს რუსის ჯარისკაცის უპირატესობა ის იყოს, რომ მას შეუძლია ერთი წინდით და გამოუცვლელი საცვლებით მთელ წელიწადს იჯდეს სანგარში. მაშინ, როდესაც ყოველ ევროპიელს სჭირდება არა მარტო წინდის ან საცვლების გამოცვლა, არამედ თხრილიდან ამოყვანა და დასვენებაც.

რომ უკრიტიკოდ მივიღოთ რუსის ხალხის დაბალ მოთხოვნილებაზე მრავალჯერ გამოთქმული და ლოღიკურად და დოკუმენტალურად დასაბუთებული აზრი, მაინც გაუმართლებელი იქნება კულტურული და თავისუფლების მოყვარული კაცობრიობის საქციელი, თუ მათ გულხელ-დაკრეფილი უყურეს ქვეყნიერების ერთ მეექვსედზე გაბატონებულ ჯოჯოხეთს და იქ კრემლის ყაჩაღების თავაშვებულ ფართაფს

რა დარჩება მსოფლიო - კეთილმოწყობის და საკაცობრიო სამართლიანობის იდეებისაგან, თუ თავისუფლების მოყვარული და კერძოდ ის ხალხი, ვისაც გარემოება აკისრებს მომავალი თაობები დაიცვას მოსალოდნელი საშიშროებისაგან, თვალს დახუჭავენ, სინამდვილეს არ აღიარებენ და აქედან სათანადო დასკვნებს არ გააკეთებენ!

ვისაც სწამს, რომ ზავი და მშვიდობიანობა არ შეიძლება დამყარდეს ერთ უბანში, ერთ რაიონში, ან ერთ სახელმწიფოში; ვისაც სწამს, რომ მსოფლიოს ორ მოპირდაპირე ბანაკად გაყოფა, ხოლო „თანაარსებობის" პრინციპის აღიარება ვერ შექმნის მყარი ზავის, უშიშროების და მშვიდობიანობის პირობებს, მათი ვალია სინამდვილის დროზე დანახვა, დროზე თქმა და დროზე გაკეთება.

„თანაარსებობის" აღიარების პერიოდში საბჭოეთმა დანაღმა თითქმის მთელი აზია, აფრიკის მიდამოები და თუ ნაღმის აფეთქების ინიციატივაც მათ დარჩათ, „გვიანი იქნება ბოლოს და ნეკზე კბენანი".

## მსოფლიოს აღრევის მიზეზები

ე. წ სატელიტურ ქვეყნებ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო აღმოსავლეთ გერმანიაა. ეს არის გადაქცეული საბჭოთა რუსეთის ყურადღების ცენტრად და ამის გარშემო ტრიალებს მთელი დიპლომამატია. კრემლისათვის დიდ მნიშვნელოვანია ეს კუთხე, ვინაიდან ის ამ გზით უშუალოდ ადგება დასავლეთის თავისუფალ ქვეყნებს და საფრთხეში აგდებს მათ მშვიდობიან არსებობას. ამიტომ ორივე მხარე, როგორც დასავლეთის თავისუფალი ქვეყნები, ისე საბჭოთა კავშირი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ამ ქვეყნის მიმართ.

უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთ გერმანიამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ძველ „პოლიციურ" შეიარაღებულ ძალებს, რომელიც რვა დივიზიას წარმოადგენდა, (ამის შესახებ იხ. „ქართული აზრი"-ს მესამე ნომერი) მიემატა ნამდვილი სამხედრო ორგანიზაცია და ამ გარემოების წყალობით ბევრი რამ ცხადი შეიქმნა იმათთვისაც კი, ვისაც საბჭოეთის „თანაარსებობის" პოლიტიკა გულწრფელი ეგონათ და სჯეროდათ.

ფორმალურად შეიარაღებული ძალების შექმნას წინ უსწრებდა თავდაცვის სამინისტროს დაარსება. თავდაცვის მინისტრად დაინიშნა **ვილი სტოფი.** აღმოსავლეთ გერმანიის დღევანდელი თავდაცვის მინისტრი დაიბადა მუშის ოჯახში და თითონაც განათლებით და პროფესიით მუშაა. კომუნისტურ პარტიას მიეკუთვნა 1928 წელში და ჰიტლერიანობის დროს ყოფილა საიდუმლო ორგანიზაციის წევრი. ეჭვი არ არის, ეს გარემოება დიდ როლს ითამაშებდა მისი კარიერის აღმავლობისათვის.

1945 წელს, ე. ი. მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, ის ინიშნება ბერლინ-ტრეპტოვის თვითმმართველობის გამგედ. სულ მცირე ხნის შემდეგ „სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის" პრეზიდენტის ოფისის ეკონომიური განყოფილების უფროსად. 1952 წელს ვილი სტოფი ინიშნება შინაგან საქმეთა მინისტრად და მის განკარგულებაში გადადის პოლიცია, იმ დროს აღმოსავლეთ გერმანიის ერთადერთი შეიარაღებული ძალა. შემდეგ არჩეულ იქმნა დეპუტატად და გასულ დეკემბერში, რაღაც სასწაულით ღებულობს „სამ ვარსკვლავს და ხდება გენერალი. ამას თან მოჰყვა მისი თავდაცვის მინისტრობა.

ამ შემთხვევის გამო ვილი სტოფი, პირველსავე პარტიულ კონფერენციაზე გამოვიდა ვრცელი მოხსენებით და თავის თანამებრძოლებს გააცნო აღმოსავლეთ გერმანიის სამხედრო ორგანიზაციის სტრუქტურა და მისი მიზან-დანიშნულება. სხვათა შორის მან განაცხადა: „ჩვენი რესპუბლიკის მიზანია გერმანიის მთლიანობა და მშვიდობიანობა. მისი შეიარაღებული ძალები დაიცავენ მთლიანად გერმანიის ხალხის ინტერესებს და ამ დიდ ეროვნული ინტერესებით არის გამოწვეული ჩვენი „ვარშავის ბლოკში" მონაწილეობა... ჩვენი შეიარაღებული ძალები ძმურ ურთიერთობაშია დაუძლეველ წითელ არმიასთან, ჩინეთის განმათავისუფლებელ გმირულ ჯართან და აგრეთვე ყველა სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებთანო".

ამ განცხადების თანახმად აღმოსავლეთ გერმანია ურყევად ჩადგა „ვარშავის ბლოკში" ე. ი. რუსეთის განკარგულებაში მყოფ ძალების რიგში და მზად არის რუსულ იმპერიალისტურ-აგრესიულ მიზნებს ემსახუროს.

სხვანაირად არც შეიძლებოდა ამ „სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის" არსებობა და არც ვილი სტოფის თავდაცვის მინისტრობა. ამ მოვლენაში აღსანიშნავია მხოლოდ რუსეთის ცდა, რომ მან მშვიდობიანობის მოყვარულის პოზა დაიჭიროს და მსოფლიოს აღრევის პასუხისმგებლობა სხვას დააკისროს. რუსეთი ალაპარაკებს გერმანელს და ათქმევინებს სრულიად ნორმალურ და ყველასათვის კეთილად მოსასმენ—გერმანიის გაერთიანებას და მის ერთ სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ხოლო ამ განცხადების ფარული ზრახვები ართულებს მდგომარეობას, რადგან რუსეთისათვის თავისუფალი მხოლოდ ის ერია, რომელიც მას დამონებული და დამორჩილებული ჰყავს, ხოლო ყველა დანარჩენი დაპყრობილი და დამონებულია. მეორე მხრით, რუსეთმა შესანიშნავად იცის, რომ დასავლეთ გერმანიის მოქალაქეს სრულებითაც არა სურს რუსულ ორბიტში მოქცევა და რუსულ აგრესიულ -იმპერიალისტური მიზნებისათვის ბრძოლა. ვილი სტოფის სამხედრო აპარატის მიზანი კი სწორედ გერმანიის ისეთი გაერთიანებაა, რომელიც აღმოსავლეთ გერმანიის მსგავსად, მოსკოვის მონა-მორჩილად და მის ბრმა იარაღად გადაიქცევა.

დასავლეთ გერმანიაც მიილტვის გერმანიის სრულ გაერთიანებისაკენ და მისი ერთ სახელმწიფოებრიობისაკენ. მასაც აქვს პრეტენზიები საერთო ეროვნული ინტერესების დამცველი იყოს. მაგრამ ბონისათვის მთავარი ამოცანაა გერმანელი ხალხის სუვერენიტეტის აღდგენა და განმტკიცება და გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების ნორმალური ზრდა-განვითარება. ამ მიზნით მან მიაღწია კიდეც, მოკავშირეებთან შეთანხმებით, შეიარაღებული ძალის ყოლის უფლებას და თავის სამხედრო ორგანიზაციას ჰქმნის. ამავე დროს ის გარკვეულად და ურეზერვოდ ჩადგა დასავლეთის კოლექტიური თავდაცვის რიგებში და მან, როგორც დასავლეთურმა ქვეყანამ, თავისი თავდაცვისა და ეროვნული განვითარების ბედი მას დაუკავშირა.

აქ აშკარად არის დაპირისპირებული მოსკოვის მიერ შეიარაღებული და წაქეზებული აღმოსავლეთ გერმანიის ინტერესები, ბონის მთავრობის ეროვნულ მისწრაფებებთან და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი ძალა, ან მოვლენა არ წარმოიშვა მათ შორის, ამ ორი მხარის ინტერესების ბუნებრივი განვითარება უნდა მივიდეს აქტიურ და შეუთანხმებელ დაჯახებამდე.

ეს არის მოსკოვის მიზანიც. ამიტომ გამართა მან აღმოსავლეთ გერმანიაში შეიარაღების დოლი. მისი განზრახვაა აღმოსავლეთ გერმანიამ იქამდე გადათელოს თავის დასავლეთის საზღვარი, ვიდრე ბონის მთავრობა სამხედრო ორგანიზაციის შექმნის პროცესშია. ამ მხრივ ბონის რესპუბლიკა, მიუხედავად თავისი რიცხვითი უპირატესობისა, ბევრად დაბლა დგას, ვიდრე რუსული ზონა.

აღმოსავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალის უმაღლესი სარდლობა მოთავსებულია შტრაუზბერგში, ბერლინის მიდამოებში და მისი სარდალია გენერალი ჰენც ჰოფმანი, შტაბის უფროსია გენერალი **ვინსენტ მიულერი,** ვეჰრმახტის XII-ე არმიის ყოფილი მეთაური. ამის ძალა შესდგება ოთხი მოტორიზებული და სამ მექანიზებულ დივიზიისაგან. სამხედრო ძალა გაყოფილია ორ მთავარ სადგომად: პირველი მოთავსებულია პასევალში და მას მეთაურობს გენერალი **როიტჩი,** ვეჰრმახტის ყოფილი ლეიტენანტ-კოლონელი. მეორე მოთავსებულია ლეიპციგში და მას მეთაურობს გენერალი **იოჰანესი.** ეს უკანასკნელი ძველი კომუნისტია, რომელმაც სახელი გაითქვა ისპანიის სამოქალაქო ომში.

საჰაერო სამხედრო ძალას ხელმძღვანელობს გენერალი **კესლერი.** ვეჰრმახტის 134-ე ფეხოსანი დივიზიის ყოფილი ჯარის კაცი. მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთის ფრონტიდან გაქცეული და მტერთან, რუსებთან მიმიკედლებული.

საზღვაო ძალებს ხელმძღვანელობს ძველი, დამსახურებული კომუნისტი ადმირალი **ვერნერ.**

როგორც თავდაცვის მინისტრის განცხადებიდან სჩანს, აღმოსავლეთ გერმანიის სამხედრო ძალა, ჯერჯერობით, შეიცავს რამოდენიმე ასი ათას კაცს. აღმოსავლეთ გერმანიაში ფორმალურად ჯარის დაარსებამდე, ყოველი დღევანდელი ჯარის კაცი თურმე ეკუთვნოდა ე. წ. „სპორტისა და ტექნიკის" საზოგადოებას და მთელი ომის შემდეგი პერიოდი გადიოდნენ სამხედრო წრთვნასა და სწავლობდნენ ახალი იარაღის ხმარებას. ამგვარი საზოგადოება ხელს უწყობდა მთავრობას, რომ მას არ შემოეღო სავალდებულო სამხედრო სამსახური, მაგრამ ემზადებინა მომავალი სამხედრო კადრები. „სპორტისა და ტექნიკის" ორგანიზაცია, როგორც ეტყობა, არსებობს მეორე მსოფლიო ომის დასრულების პირველი თვეებიდანვე და როგორც მისი მეთაურის განცხადებიდან სჩანს, სპორტი და ტექნიკა, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სრულებით არ აინტერესებდათ და შეცულნი იყვნენ სუფთა სამხედრო საქმიანობით. უკანასკნელ წლიურ კონფერენციაზე მისმა მეთაურმა განაცხადა: „ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მშვიდობიანობისადმი ლტოლვით, ჩვენი ბრძოლის ტრადიციებით და ისპანიის იდეოლოგიური ბრძოლით", ხოლო სიტყვის მეორე ნაწილში, მიმართულს ახალგაზრდობისადმი, აცხადებს, რომ „გერმანელი ახალგაზრდები არ უნდა განიმსჭვალონ ზოგადი პაციფისტური გრძნობებით და მათში მუდამ უნდა სჭარბობდეს „ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან" ბრძოლის სურვილიო".

ეს მცირე ამონაწერი და ის ფაქტი, რომ სამხედრო ორგანიზაცია „სპორტი და ტექნიკის" საზოგადოებიდან ღებულობს გაწრთვნილ ჯარის კაცებს და უნტერ - ოფიცრებს, არტილერიტებს და მფრინავებს, ნათელს ჰფენს ამ მილიონიანი საზოგადოების „პაციფისტურ ბუნებას და სპორტისადმი მიძღვნილობას".

აღმოსავლეთ გერმანიაში ყოველ სამხედრო ერთეულს, მოყოლებული არმიიდან და გათავებული ასეულით, მიმაგრებული ჰყავს განსაკუთრებული დანიშნულების ოფიცერი, რომელიც ასრულებს მხოლოდ პოლიტიკურ ფუნქციას. ამ განსაკუთრებული მოვალეობის ოფიცრების, ან საბჭოთა ტერმინით, პოლიტრუკების კადრს ხელმძღვანელობს გენერალი

ეროვნული

**დოლინგი,** აღმოსავლეთ გერმანიის პარლამენტის წევრი. დოლინგი არის უშუალო თანამშრომელი და მრჩეველი საბჭოთა კოლონელ **იელიზაროვის,** რომელიც გერმანული ჯარის ფაქტიური მფლობელია. საზოგადოდ ყოველ სამხედრო ერთეულს, როგორც დიდს, ისე მცირეს, მიჩენილი ჰყავს იელიზაროვის ნდობის რუსი ოფიცერი, რომელიც ვალდებულია ატაროს გერმანული უნიფორმა.

გარდა სამხედრო ვარჯიშობისა, ჯარის კაცებისათვის სავალდებულოა მოისმინონ კვირაში ოთხსაათიანი პოლიტიკური ლექციები და კერძოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კურსები. ყოველი ჯარის კაცი შესულია არმიაში, სამწლიანი კონტრაქტით, რომლის შემდეგ ვალდებულია იქ იმსახუროს, სადაც მთავრობა და „სამშობლო" მათ სამსახურს საჭიროდ დაინახავს. „ყოველი ჯარის კაცი ერთსა და იმავ დროს უნდა იყოს მომზადებული და გაწრთვნილი პროპაგანდისტი. მათი მოვალეობაა დაბადონ და გაზარდონ გერმანელ ხალხში დასავლეთის იმპერიალისტებისადმი მტრობის და სიძულვილის გრძნობა"-ო, აცხადებს გენერალი დოლინგი.

სპორტი და ტექნიკის საზოგადოება იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ამ წლის დასაწყისში აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობამ სპეციალური განცხადება გააკეთა: „ამიერიდან ეს საზოგადოება მისცემს გაწრთვნილ ჯარის კაცებს სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასაო". ეს არის „პროგრესიული ძალა აღმოსავლეთ გერმანიისა, რომელიც წინ აღუდგება და შეებრძოლება ბონის გერმანიის მილიტარულ მისწრაფებებს და მის „ნატოში" მონაწილეობას"-ო.

აღმოსავლეთ გერმანიის „სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და მისი მიზან-დასახულობის შესახებ ასე ძუნწად გამოპარული ცნობებიც საკმაოდ ნათელსა ჰფენენ და ცხადჰყოფენ, რომ მათი დანიშნულება არ არის თავდაცვითი, არამედ მხოლოდ თავდასხმითია. მათ თავისი მთავრობა მიზნად უსახავს ერთის მხრივ, დაბადონ და გაზარდონ გერმანელ ხალხში დასავლეთის იმპერიალისტებისადმი მტრობისა და სიძულვილის გრძნობა", ხოლო მეორე მხრივ,—შეებრძოლონ „ბონის გერმანიის „ნატო"-ში მონაწილეობას". ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მოსკოვის სურვილია, იქ დაანთოს ახალი ხანძარი და, რადგან თავისი მონა-მორჩილი გერმანელების პირით აცხადებს, რომ მათი მიზანია გერმანიის გაერთიანება და საერთოდ მთელი გერმანელი ხალხის ინტერესების დაცვა", ამ გარემოებიდან გამორიცხული არ არის, რომ მოსკოვმა აქ განიმეოროს კორეის ავანტურა; ამ შემთხვევაში გერმანელი ხალხის საერთო ინტერესების დაცვისა და გერმანიის გაერთიანების მოტივით.

რათა რუსეთი თითონ დაზღვეული იყოს ყოველგვარი მოულოდნელობისაგან და თავისთვის შემოინახოს მშვიდობიანობის მოყვარულისა და „აგრესორთა შორის" შუამავლის როლი, ამიტომ ის ჰქმნის აღმოსავლეთ გერმანიის სამხედრო ძალას და პარალელურად აიარაღებს და წრთვნის „სპორტისა და ტექნიკის" საზოგადოებას. ამ გვარად აღმოსავლეთ გერმანიას ოფიციალური სამხედრო ძალის გარდა ჰყავს უძლიერესი და კბილებამდე შეიარაღებული საზოგადოება, რომელიც თითქმის მთელ აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობას აერთიანებს და მას სამხედრო რიგებში აყენებს. ამასთან ერთად თუ წარმოვიდგენთ, რომ გერმანულ ტერიტორიაზე რუსეთს საკმაო საკუთარი სამხედრო ძალა ჰყავს (24 დივიზია), ნათელი იქნება ის საშინელი ორომტრიალი, რომელიც დატრიალდება პირველ წუთებში, როდესაც აღმოსავლეთ გერმანიის „სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა" შეუდგება თავისი მისიის, გერმანიის გაერთიანებისა და „საერთო გერმანული ხალხის ინტერესების დაცვის" განაღდებას.

**დ. სინდიკელი**

## დაუვიწყარი მამულიშვილი

ოცდაათიან წლებში, საღამო ჟამს, პარიზის ერთ კაფეში ახალგაზრდა კაცი გაბრწყინებული სახით, გატაცებით უკითხავდა რამოდენიმე ამხანაგს ქართულ წიგნს. მივესალმე. მივჯექ კუთხეში და სმენად გადავიქეცი: ახალგაზრდა ალექსანდრე—საშა ცომაია იყო. იგი უკითხავდა მეგობრებს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებს და თან ზოგი-ერთ წაკითხულ ადგილებზე იძლეოდა ისეთ გონიერ და მცოდნე ახსნა-განმარტებას, გეგონებოდათ ეს 25 წლის ჭაბუკი ილია ჭავჭავაძის თანამედროვე და მისი მესაიდუმლე ყოფილიყო.

— ყმაწვილო, რამ შეგაყვარა ასე ილია?— ცნობისმოყვარეობით დავეკითხე ენტუზიასტს საშა ცომაიას.

— ილიას უსაზღვრო ღრმა სიყვარულმა სამშობლო საქართველოსადმი და ქართველ ხალხისადმი... მისმა დევიზმა: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს"-ო. მომიგო მან პასუხად.

ემიგრაციაში, ჩვენი მომდევნო თაობის წრეებში, ალექსანდრე ცომაია ილია ჭავჭავაძის საუკეთესო მოწაფე მკვლევარად ითვლებოდა. მისი პატარა, მონოგრაფიის მსგავსი ნაშრომი „დიდი ილია", გამოქვეყნებული ჟურნალ „ქართველი ერი"-ში (№15, ნოემბერი, 1944 წ., ბერლინი) ილიასათვის მიძღვნილ მრავალ ძველ ქართულ ნაწერთა შორის საუკეთესოდ ჩაითვლება.

ხსენებულ ქართულ თაობას, რომელსაც ისტორიის ბედით წილად ხვდა თავის ახალგაზრდულ მხრებზე გადატანა მოსკოვის წითელ უღლისაგან საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლებისა 1921 — 24 წლებში, საშა ცომაია, ჯერ კიდევ გიმნაზიელის ასაკში, უკვე მის მოწინავე რიგში მდგომი ებრძოდა დამპყრობლებს თოფით ხელში.

თვალსაჩინო წევრი ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის მის ახალგაზრდულ ნაწილისა, საქართველოს 1924 წ. აჯანყების უსწორო ბრძოლაში დამარცხებამ არ გასტეხა საშა ცომაია. გამოსული ემიგრაციაში, მისი ცხოვრების მძიმე პირობებში, განაგრძო თავისი ბრძოლა სხვა იარაღით—სტამბის საქმის შესწავლით, ახალგაზრდობის ჟურ. „ივერიის" გამოცემით და თავისი ნიჭიერი მწერლის კალმის წვერის ამუშავებით. იგი შეუდგა საქართველო - რუსეთის ურთიერთობის კვლევაძიებას და ზოგი ახალი გამონახული ისტორიული საბუთების დასკვნები დაუმატა საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ ჩადენილ აშკარა ვერაგობის აქტების ისტორიას, რომლის ნაწილი თავები გამოქვეყნდა „ქართული აზრი"-ს ფურცლებზე.

მშვიდობიანობის თუ ომის ხანაში, სადაც კი უხდებოდა საშას პოლიტიკურ პრაქტიკულ მოქმედებაში ჩაბმა, მას თან ხელმძღვანელად სდევდა მამულიშვილური სულისკვეთება. ევროპიდან ჩრდილო - ამერიკაში მოქცეული, ა. ცომაია ჩასვლისათანავე მთელი თავისი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი მოანდომა ქართულ ეროვნულ - პოლიტიკურ ორგანიზაციის დაფუძნებას. პირველი ქართული ყოველდღიური გაზეთის „ქართული აზრი"-ს" და ინგლისურ ენაზე ჟურნალ „The Voice of Free Georgia"-ს ნიუ - იორკში დაარსება უმთავრესად ა. ცომაიას მოთავეობით და ამერიკელ ქართველების ნაშრომ ფულის შემოწირვით ხდება. ამით საქართველოს განთავისუფლების საქმის მტკიცე დაცვა მოექცა იმ კონტინენტზე და ქვეყანაში, რომლის ხელშია უმთავრესად თანამედროვე მსოფლიოს ბედ-ბედის მოვლა თუ გადაწყვეტა.

ეს უდავო დიდი ღვაწლია ყოფილ „ხაშურელ გიმნაზიელისა", დიდი მამულიშვილისა და ქართველი ალექსანდრე — საშა ცომაიასი. და როცა ძვირფასი განსვენებულის ნაღვაწევს დაუდგება დრო და გამოჩნდება მისი ნათესის ნაყოფი — აღდგენილი თავისუფალი საქართველო — ალექსანდრე ცომაიას შერჩება დამსახურებული დაუვიწყარი მამულიშვილის დიდი სახელიც.

**დ. ვაჩნაძე.**

— . — . —

**პარიზი** (საფრანგეთი). მთელ საზოგადოებას მწუხრად მოედო შეუდრეკელი მებრძოლის, საშა ცომაიას გარდაცვალების ამბავი. აგვისტოს სამს მამა ილიამ გადაიხადა განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი. მოძღვარმა სიყვარულითა და გრძნობით მოიხსენია განსვენებული.

პანაშვიდის შემდეგ განსვენებულის ახლობელი და უცხოელი მეგობრები მიიპატიჟა ბ-ნმა თ. ლალიძემ. განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად სიტყვები წარმოსთქვეს ერთმა მისმა გერმანელმა მეგობარმა და ბ-ნმა შ.კალანდაძემ.

**ბ-ნი შ. კალანდაძის სიტყვა.**

საშა ცომაია ქართველი ახალგაზრდობის იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც საშუალო სასწავლებლის კედლებში ეზიარა ეროვნული ბრძოლის მძლავრ სტიქიონს და რომელზედაც დაშენდა მთელი ჩვენი ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამ ბრძოლაში ჩაება ის იქ, საქართველოში, ამ ბრძოლას აგრძელებდა აქ —გადმოხვეწილობაშიც. ის უკვე გამობრძმედილი, მოწიფული მებრძოლი იყო საქმით, წერით, სიტყვით და მოხერხებით. მის ნიჭსა და უნარს მრავალი სამსახურის გაწევა შეეძლო თავის ერისათვის, რომ დასცლოდა. დავკარგეთ ეს შეუპოვარი მებრძოლი, სწორედ მაშინ, როდესაც ქართველი ერი ასე ახდილად და თავგანწირულად იბრძვის თავისი მეობისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად. ასეთ თავგანწირულებაში აქ, საზღვარგარეთ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა ჩვენი ხალხი ავაცდინოთ უაზრო წყვეტებასა და მიზნის მისაღწევადაც ზომიერად და გონიერად ვიმოქმედოთ. ამ მიმართულებით მოქმედებაში საშა ცომაია ერთი საუკეთესოთაგანი იყო. ამერიკის კონგრესის ქვეკომისიაში საქართველოს ამბების მისი ნიჭიერი, ფხიზელი და მოფიქრებული შეფასება, რომელიც ამერიკის ჟურნალ - გაზეთებიდან ამოვიკითხეთ, მოწმობენ, რომ საშას უდროო დაკარგვამ ქართული საქმე დიდად დააზარალა და დააზიანა.

საშას გაჯავრება ადვილი იყო, მაგრამ ხანგრძლივად მასთან უბრობა მეტად ძნელი. განსვენებული მეტად მიმზიდველი ბუნების იყო და ამასთანავე გულშემატკივარი. ერთერთი ჩვენი სახელოვანი მწერალი ამბობს: „ყოველი ადამიანი თავისი სიკვდილით გაცილებით მეტს იტყვის, ვიდრე თავისი ნაწერებით და ცხოვრებით. რადგან ის, რასაც კაცი ამბობს, ან სწერს, ისე ძვირფასი და საყურადღებო არ არის, როგორც იგი, რისთვისაც ის თავს დასდებს"-ო.

თუ კი კაცობრიობას უწერია სიავისაგან და გავერანებისაგან თავის დაღწევა, თუ ნათელი სიმართლისა სავსებით არ ჩამქრალა და,—ჩვენი ღრმა რწმენით, არა და ათასჯერ არა— ის წმიდათა წმიდა, რომლისთვისაც საშამ თავი დასდო, განაარსდება და გაიმარჯვებს. მანამ კი უნდა ითქვას:

„ძველად ამბობდნენ,
სხვაგვარად სცნობენო ალებს,
ასე სიკვდილი ელის მებრძოლებს,
სასახლეები კი ნაძირალებს".

**შ. კალანდაძე.**

— . — . —

## „საუბარი" გადაცემული მიუნხენის რადიოს მიერ ამა წლის მკათათვეში.

კაცობრიობა უხსოვარ დროთაგანვე დაყოფილი არის ორ ნაწილად: 1) მორწმუნეთაგან, ესე იგი, რომელთაც სწამთ ღმერთი— „შემომქმედი ცათა და ქვეყნისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა", და 2) ურწმუნოთაგან, რომელნიც უარსჰყოფენ ღვთაებრივსა და საზოგადოდ ყოველივე ზებუნებრივ დასაწყისს და მათ მონაწილეობას მსოფლიოს ყოფაცხოვრების წარზიდვაში.

არსებითად ასეთ დანაწილებაში ახალი არაფერია: სარწმუნოება და ურწმუნოება პარალელურად „თანამგზავრობენ" ხალხთა ცხოვრებაში: ზოგსა სწამს, ზოგს არა სწამს. ამ ნიშანდობლივი ისტორიული მოვლენით განისაზღვრებოდა ყოფა ხალხთა შორის.

კაცობრიობის ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ ურწმუნოება გავრცელებულიყო და შემტკიცებულიყო პიროვნებასა და საზოგადოებაში სახელმწიფო აპარატის ძალდატანებითი ზომებით, და რომ მორწმუნენი აღნუსხულყოფილიყვნენ ხელისუფლების მიერ, როგორც ელემენტი არასასურველი და მავნე სახელმწიფო ცხოვრების სვლასა და განვითარებაში.

თანამედროვე ისტორიული აღრევანი, სახელდობრ მიმდინარე ჩვენი მძიმე დღენი ცხადჰყოფენ ამ გაუგონარ ამბავსაც, რაიცა სევდით ავსებს და აღაშფოთებს ყველას, ვისთვისაც სინიდისისა და ჰაზრონების თავისუფლებას არ წაჰრთმევია უპირველესი საზომის მნიშვნელობა როგორც კერძო, აგრეთვე საზოგადურ ცხოვრების წინსვლასა და პროგრესში.

სინიდისსა და ყოველივე სიკეთეს გამოფიტული კომუნისტური საბჭოთა მთავრობა არა კმაყოფილდება სარწმუნოების უარყოფით: ის მხეცური ზომებით ახშობს „რკინის ფარდაში" მომწყვდეული ხალხის თავისუფალ შეცნაურებას, „ცეცხლითა და მახვილით" ლამობს ჩაულურსმოს სასომიხდილ მოსახლეობას ყველა ის უწმაწურობა და სირეგვენე, რითაც თვითონ ზომაგადაცილებულად არის გატენილი და გაქღენთილი.

სარწმუნოება თუ ურწმუნოება არის კერძო გაგების საქმე, პიროვნების შემეცნების კუთვნილება. არ არის მისაღები არავითარი ზომები ან ერთისა, ან მეორის აღკვეთისათვის. თავისუფლება პირველყოვლისა განუსაზღვრელი უნდა იყოს ამ დარგში. იქ, სადაც პიროვნება პატივცემულია და არ არის მხოლოდ რიცხვობივი ნიშანი, ეს მცნება შეთვისებული არის და ხელუხლებელი.

შორის რომ არ წავიდეთ და უამრავი მაგალითები განზე დავტოვოთ, საკმარისია გავიხსენოთ, როგორი სახელმწიფური და საზოგადური იდეით მიიმართებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის ხანმოკლე არსებობის ჟამს. ძველმა თაობამ ეს კარგად უწყის, ხოლო ახალ, შემდგომთაობისათვის ესევე უნდა ჩაითვალოს უცნობ საგნად, იქნებ კი ქართული ინსტიქტით, ან ძველთა გადმოცემითა და შთაგონებით გულთან მიტანილი იყოს. წარმოსადგენია, გეკითხებით, რომ ჩვენს სახელმწიფოში მოხელის განწესებისას, ამათუიმ უწყებას ჰაზრად მოჰსვლოდეს დაკითხვა მისი რწმენის გამოსარკვევად? ასეთ სულელურ ყალთაბანდობას ჩვენში ადგილი აროდეს ჰქონია! მოხელე, რა დარგისა და მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო, ინიშნებოდა მისი მომზადებისა, უნარისა და სპეციალობის მიხედვით— არც მეტი, არც ნაკლები.

კომუნისტური საბჭოთა ტირანიაში ყოველივე ეს გაუგონარი ამბავია. ამას თქვენ ნათლად ჰხედავთ და ამისი დღემუდამი მოწმენი ხართ. კომუნისტების უკულმართი ჭკუით, სახელმწიფოს, თურმე ნუ იტყვით, გამოადგება მხოლოდ ისეთი მოხელე და მსახური, რომელსაც თუთიყუშივით გაზეპირებული აქვს კომუნისტური „ან-ბანი" თავიდან ბოლომდის, და ეს არის უპირველესი საზომი და მოთხოვნილება. სპეციალისტობასა და საგნის ცოდნას ვინ დაგიდევს?! იყავი კომუნისტი, „ჩეკის კოდექსის" უსიტყვო შემსრულებელი, დანარჩენი თუგინდ მეწყერს გასტანებია...

ახლა თქვენთვის მიგვინდია, მანძილით ჩვენგან დაშორებულნო ქართველებო, გამოიძიოთ იმის მიზეზი, რატომ არის, რომ ორმოც წელიწადს მიახლოვებით საბჭოთა სამფლობელოში ვერ იქნა და ვერ მოეწყო მოსახლეობის სულ უმცირეს საჭიროებათა დაკმაყოფილება! ყბედ ხრუშჩოვს ყური რომ ათხოვოთ, ისე გამოდის, თითქოს საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სიუხვე და სიმდიდრე სჩქეფს და გადმოდის. ხომ ჰხედავთ—გაჰკივის სტალინის ყოფილი კარის მასხარა—ხალხიც კმაყოფილია, არ არის არც გაფიცვები, არც სხვა რამ უკმაყოფილების მაჩვენებელი, არცა ჰღრღნის და ნიადაგს უფიტავს საბჭოთა კავშირისადმი შურით სავსე, ნგრევის უფსკრულზე მდგომ სახელმწიფოებს.

„ტყუილს მოკლე ფეხები აქვს"-ო, ამბობს ქართული გამოთქმა. არა მგონია გამოიძებნოს თქვენს შორის ვინმე, რომ სჯეროდეს ახლად გამოჩეკილი „ხალხის მეტიჩარა მამის" ლათაიები. საბჭოთა ცხოვრების საზოგადო ცხოვრების დონის შედარება სხვა დაწინაურებულ ქვეყნებთან, ეს იმას უდრის, რომ კამბეჩის თავლა შეადარო სასახლეს! დიახ, მართალია, რომ ჩეკისტების საბრძანებელში მეფობს სიჩუმე, დუმილს მოუცავს მთა და ბარი, მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ სიჩუმე სასაფლაოს კუთვნილებაა! გერმანულად სასაფლაოს Friedhof-ს უძახიან, ესე იგი, ეზო მშვიდობიანობისა, სიმშვიდისა, შეუშლელი სიწყნარისა. გარნა სადაც არის სიცოცხლის ნიშანი და ადამიანური ურთიერთ მიმართება, იქ ჰაზრთა და შეხედულებათა დაუბრკოლებელი მანიფესტაცია და, თუ გნებავთ, ხუმრობაც აუცილებელი და საჭირო არის.

გამოირკვა კი, რომ ხრუშჩოვების სასაფლაოზე მიცვალებულთა შორის ცოცხლებიც აღმოჩენილან. პირველად თქვენ, თანამემამულენო, აჰყარით და გადისროლეთ ლოდები. ცხადად დაანახვეთ მესაფლავეებს, რომ ცოცხალნი დაუმარხიხართ, ხოლო ეგზომ ხხის განმავლობაში ვერ შესძლებიათ თქვენი სულის შეხუთვა. თქვენი ჯანყი უთანაბრო იყო და, რასაკვირველია, იცოდით, რომ ჩეკელების ტანკებს ვერ სძლევდით. თავისუფლების შუქით მოფენილნო! ბოლომდის შეგრჩით სიმხნევე და ვაჟკაცობა! თქვენისთანა მებრძოლნი ესახებოდათ ძველ რომაელებს, რომ გამოსთქვეს: Gloria victis—დიდება დამარცხებულთ!

სულ მოკლე ხანი უნდა გასულიყო ქართველების შიშუდებ აჯანყების შემდეგ, რომ შენძრეულიყო ცოცხლად დამარხულთ მეორე სასაფლაოც: ქართველებს მოგბაძათ მეგობარმა ერმა — პოლონელებმა. პოზნანსა და შტეტინში მათ აატრიალეს „რეჩ-პოსპოლიტის" თავისუფლების დროშა, რუს კომუნისტებისაგან დახეული. ისინიც დამარცხდნენ. დიდება იმათ!

რას გვასწავლის ეს ორი განსაცვიფრებელი ეპიზოდი? იმას, რომ უნდა — აკაკის თქმით — „აჰყვავდეს იმედი"! შიში და სასოწარკვეთილება უკუგდებულ იქმნეს! სიმხნევითა და გამბედაობით შემოსულს უკანდახევა არ უწერია...

დღეს ძლიერნი არიან ხალხის მტრები, მოსკოვის კრემლში შემძვრალნი? ეს ნუ გაშინებთ! მათი სიძლიერე ეხლა უკვე თიხის ფეხებზე ქანაობს, გაცვდა, დაიჩეხა, ინგრევა... ჟამი მათი თარეშობისა უკვე გამოთვლილია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედი მათი განწირულია!

მათ ვერ იხსნის ვერც ხალხზე ამოდებული მუხრუჭი, ვერც ჩეკის საჯალათო, ვერც ციმბირის ტუნდროებში გაბმული სამკვდრო ბანაკები, ვერც ეკლესიების გადაბუგვა და ნგრევა, ვერც ხატების წაბილწვა, ვერც ხალხის პირის აკვრა და გონების „პროკრუსტის სარეცელზე“ მიჭედვა, ვერც სტალინის მიმართ დაგვიანებითი ყეფა, ვერც ხრუშჩოვის ლაზღანდარობა!..

**დეკანოზი რაფიელ ინგილო.**

## ლინკოლნი

(გაგრძელება)

ამ გარემოებამ ლინკოლნში გამოიწვია წარმოუდგენელი გადაწყვეტილება და აქედან გამომდინარე შინაგანი მღელვარება. ოჯახური ცხოვრების შეუჩვევარი ექვობდა თავის მომავალს; უნდობლობა, ნერვიული და გადაჭარბებული შიში ერთი მეორეს სცვლიდნენ და თავ თავის მხრივ აღელვებდნენ მას. ლინკოლნის მეგობრები შიშობდნენ, რომ ის ვერ გაუძლებდა ამ მღელვარებას და ცოლს არ შეირთავდა. იმის მოწმენიც არიან, რომ მან სცადა ნიშნობის გაუქმება, მაგრამ მოალბო დანიშნულის ცრემლებმა და მას დაუთმო. მისი ცოლის შერთვის გარშემო იმდენი რამ თქმულა, რომ ძნელია გარკვევა, რომელია მათში მართალი და რომელია ჭორი. გერდონი ირწმუნება, რომ ქორწინება დანიშნული იყო 1841 წლის იანვრისათვის, მაგრამ საქმრო საცოლის გაუფრთხილებლად გაიქცა და დაიმალა. ლინკოლნის ზოგი ბიოგრაფები უარყოფენ ამ ფაქტს, თუმცა ადასტურებენ, რომ განდგომისა და კვლავ შერიგების ფაქტები არსებობდა. ყოველ შემხთვევაში დაუცხრომელმა შეყვარებულებმა იქორწინეს, 1842 წლის 4 ნოემბერს.

ლინკოლნის ოჯახურ ცხოვრებაზედაც შენახულია აუარებელი მითქმა-მოთქმა, მაგრამ, თუ დავიცავთ მცირედად მაინც შემოწმებულ, ე. ი. რამოდენიმე პირის მიერ განმეორებულ აზრს, უნდა დავასკვნათ, რომ არა ერთი და ორი „ჭორი“ იყო გავრცელებული თვით ქ-ნ ლინკოლნზეც. მაგალითად, ამბობენ, რომ მას ჰქონდა მეტად ატეხილი და აფორიაქებული ხასიათი და ზოგიერთ მომენტში კიდეც შორდებოდა ნორმალობის საზღვარსაო. მეორე ვერსიით, ის იყო ქალი, დაბადებული და გაზრდილი კულტურულ და კეთილშობილ წრეში, რომელიც ვერ ეგუებოდა „მეშეშის“ მოუქნელ და დაუმუშავებელ მანერებს და ყოველგვარი მისი ცდა, რომ ქმარი გარდაექმნა და მისთვის მიეღებებინა „კულტურული მანერები“, რჩებოდა უშედეგოდ და ეს იწვევდა მასში ისტერიასო. მართლაც, ლინკოლნმა ვერაგზით ვერ მოახერხა, რომ თავისი თავი და საქციელი დაემსგავსებინა სხვებისათვის. აქოთება და უწეს-რიგობა თანა სდევდა ამ უდიდეს მოაზროვნეს, როგორც საკუთარი აჩრდილი. იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ, როგორც არ უნდა ღირსეულად ითვლებოდეს ღრმა აზროვნების უნარი, მაინც ხანგრძლივი სიჩუმე და განმარტოვება არ არის ოჯახური ბედნიერების ხელის შემწყობი, და საფიქრებელია, რომ ქ-ნ ლინკონლს ესეც უშლიდა ნერვებს. მხედველობაში მისაღებია ლინკოლნის დამცინავი ბუნებაც. მაგალითად, ის ვერ ეგუებოდა ცოლის მიერ შემოღებულ წესს, რომ განსაზღვრულ დროს ჭამოს, დაიძინოს და იმუშაოს. სპიდის მოწმობით, „ლინკოლნს არასოდეს არა ჰქონია განსაზღვრული დრო არც ჭამის, არც ძილის, არც ადგომის და არც დასვენებისა“-ო; ამას თან სდევდა მუდმივი დაცინვა ცოლის საზოგადოებრივი ღირსებების გამო. (ერთხელ თურმე ქ-ნ ლინკოლნს ვიღაცა შეეკითხა, თუ როგორ იწერება მისი გვარი. ლინკოლნმა ცოლის მაგიერ ირონიულად უპასუხა: „ერთი ასო „დ“ საკმარისია ყველასათვის“). ერთხელ სასტუმროდ წასასვლელად გამოწყობილი ცოლი რომ დაინახა, თურმე ლინკოლნმა გარშემო შემოუარა და დაიძახა: „შეხეთ, ჩვენ კატას რამოდენა კუდი ჰკიდია!“-ო. ცხადია, ყოველივე ეს შეჰქმნიდა უთანხმოებას, და ლინკოლნის ტიპის კაცთან ინტიმურ ურთიერთობაში უსათუოდ არა ერთი და ორი უსიამოვნო მომენტი წარმოიშვებოდა. მაგრამ მათ მაინც შეჰქმნეს მტკიცე ოჯახი და ცხრა წლის განმავლობაში შეეძინათ ოთხი შვილი. ერთი მოუკვდათ სპრინგფელდში, როდესაც ის იყო ოთხი წლისა, მეორე — მისი პრეზიდენტობის დროს თეთრ სახლში. მესამე — ლინკოლნის მკვლელობის შემდეგ. უკანასკნელმა შვილმა, რობერტ ტოდ-ლინკოლნმა იცოცხლა დიდხანს, მაგრამ მას დარჩნენ მხოლოდ ქალიშვილები და ამგვარად უდიდესი გვარის გამგრძელებლები აღარ არიან.

— . — . — . —

ქორწინების ოთხი წლის შემდეგ ლინკოლნმა სცადა საერთო ეროვნული პოლიტიკის ასპარეზზე გამოსვლა. არჩეულ იქმნა წარმომადგენელთა პალატაში (ე. ი. კონგრესში) 1847 წელს. საარჩევნო კამპანიის დროს საჭირო ხარჯებისათვის, მეგობრებმა მოუგროვეს 200 დოლარი. არჩევნების გათავების შემდეგ მან დაუბრუნა 199 დოლარი და 75 ცენტი. „მე ეს ფული არ დამჭირდა, —არჩევნებში გამარჯვებულმა ლინკოლნმა განუცხადა თავის მეგობრებს — ჩემი ამომრჩევლები მოვიარე საკუთარი ცხენით, ხოლო მთელი საარჩევნო პერიოდი ვიყავი რომელიმე ამომრჩეველი სტუმარი. ერთად-ერთი ჩემი ხარჯი იყო ერთი კასრი სიდრო, რომელიც იძულებული ვიყავი რამოდენიმე ფერმერისათვის მეყიდა. მათივე დაჟინებული მოთხოვნით“-ო.

1847 წელს ლინკოლნი შეუდგა თავის ახალ სადეპუტატო მოვალეობის აღსრულებას. ამ დროს დაკვირვებული ადამიანისთვის უკვე ნათელი იყო, რომ მონათმფლობელობის საკითხი ვერ ამოსწურა და ვერ გადასწყვიტა „მისურის კომპრომისმა“ და ის ჯერ ისევ მწვავედ იდგა. უდიდესი ტერიტორიის მქონე ტექსასი, რომელმაც თავი გაინთავისუფლა მექსიკიდან, თხოულობდა კავშირში შესვლას, ხოლო ტექსასი ამ დროს იყო მონათმფლობელობის ქვეყანა. ამავე დროს ის იმდენად დიდი იყო, რომ მისი ტერიტორია შეიძლებოდა გაყოფილიყო 5—6 ნაწილად და ყოველი მათგანი ცალ-ცალკე დააკმაყოფილებდა კავშირში შესვლისა და შტატის უფლების მოპოების ნორმებს. ეს გარემოება კი დაარღვევდა სამხრეთსა და ჩრდილოეთ შორის დამყარებულ წონასწორობას, რასაც დაინტერესებული მხარე მეტად ერიდებოდა. მეორე მხრივ თუ ტექსასის თხოვნა არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, შეიძლებოდა მას მიეღო საფრანგეთის ან ინგლისის მოკავშირეობა, რაც სავსებით ეწინაამდეგებოდა შეერთებული შტატების ინტერესებს და მის დასავლეთურ მისწრაფებებს.

ამასთან დაკავშირებით ამერიკის წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი: შეერთებული შტატების გაზრდასთან ერთად უნდა გაზრდილიყო მონათმფლობელობის ტერიტორია სამხრეთის მიმართულებით, რასაც საზღვრავდა „მისურის კომპრომისი“, თუ არა? თუ მონობა უნდა შეწყნარებულიყო, როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის ტერიტორიაზე? ან მონობა აკრძალულიყო შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე?

როდესაც ამერიკის დასავლეთის მიმართულებით ლტოლვა აშკარა შეიქმნა, ამასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი აზრიც დამუშავდა ოლქობრივად. ჩრდილოეთმა აღიარა მაღალი მორალური ნორმები. კომპრომისი, როგორც ფედერალური კავშირის შენარჩუნების შედეგი და საფასური, უაღრესად გაკიცხული და დაგმობილი იყო. ჩრდილოეთის რევოლუციონურად განწყობილი ჯგუფები და მოღვაწეები მოითხოვდნენ, რომ მონობას ერთხელ და სამუდამოდ დასდებოდა საზღვარი და ის აღაგმულიყო. სამხრეთელები კი კატეგორიულად მოითხოვდნენ „მისურის კომპრომისის“ ხაზი წყნარ ოკეანეს ნაპირებამდე გადაეტანათ. წინაამდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ „ფედერაციიდან“ გასვლით.

ამ უკიდურესობათა შორის იყო ორივე მხარის ზომიერი მოაზროვნენი, რომლებიც ფედერაციას და საკავშირო ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებდნენ და ცდილობდნენ პოლიტიკური დათმობით აეცდინათ კატასტროფა. ამ მრავალრიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა აბრამ ლინკოლნიც.

როდესაც ლინკოლნმა მიიღო დეპუტატობის რწმუნება, ტექსასი უკვე კავშირში იყო, ორაგონის ტერიტორია ინგლისთან შეთანხმებით გაყოფილი და დანარჩენი ტერიტორიების გამო ბრძოლა სწარმოებდა მექსიკასთან. ჰერბერტ აგარის აზრით „ეს იყო ომი, რომელსაც შეერთებული შტატები სიამოვნებით დაიწყებდნენ“.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან ჯერ ისპანიის ხოლო შემდეგ მექსიკის ბატონობის დროს, კალიფორნიელები ვაჭრობდნენ ტყავით. ამის გამო ახალ ინგლისში აყვავდა ფეხსაცმელის წარმოება და ტყავით ვაჭრობა გადაიქცა მუდმივ და მეტად შემოსავლიან საქმედ. კალიფორნიის დიდი ტერიტორია არ იყო საკმარისად დასახლებული და განსაკუთრებით განუვითარებელი და ჩამორჩენილი კუთხე იყო. მექსიკის ბაჟები — ყოველგვარ საქმიანობაზე აღწევდა 80—100 %. და მოსახლეობაში ყოველდღიურად უკმაყოფილება იზრდებოდა. ამერიკის იმდროინდელი პრეზიდენტი **პოლკი** (1845—1849) დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ამ მდგომარეობას და ეძებდა შემთხვევას, რათა კალიფორნიის მდიდარი ტერიტორია ამერიკისათვის შემოერთებინა. მან კარგად იცოდა,—საკმარისი იყო კალიფორნიელებისათვის მცირედი დახმარება აღმოეჩინა და პატარა ზეგავლენა მოეხდინა, რათა მექსიკელებს აჯანყებოდნენ და ამერიკელებისათვის მფარველობა ეთხოვათ. მაგრამ ტექსასა და კალიფორნიას შორის მდებარე ტერიტორია, რომელიც 700 მაილს აღემატება, მექსიკას ეკუთვნოდა და საჭირო იყო ჯერ მისი მოთოკვა და შემოერთება. მექსიკამ არ მოინდომა ტერიტორიების გაყიდვა და არც ომში გაჰყვა ამერიკას ტეfსასის გამო, თუმც მიზეზი საპატიო იყო.

პრეზიდენტი **პოლკი**, მიუხედავად თავისი სიჯიუტისა, მექსიკელების სიძულვილისა და უაღრესი სურვილისა, რომ ეს ტერიტორიები ხელთ ეგდო, მაინც ერიდებოდა ომს, რომე-

## საით მიდის კავკასია?

**1. კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა.**

1904 წელს, ვარშავის რუს სამხედრო შტაბის დავალებით, მე, მე-15 პიონერთა ბატალიონის ადიუტანტს, მომიხდა ოფიცერთა კრებაზე ქ. ბრესტლიტოვსკში მოხსენების წაკითხვა შემდეგ თემაზე: „თურქესტანის მოსაზღვრე ქვეყნების მდგომარეობა“, ე. ი. განსაკუთრებით ავგანეთზე და სპარსეთზე. იმ დროის მათი ყოფა-ცხოვრების ამბების მოთხრობა. ამ მოხსენების შემზადებისათვის შტაბმა გადმომცა ბიულეტენების სახით მეტად მნიშვნელოვანი კონფიდეციალური მასალები გენერალური შტაბის პოლკოვნიკ **იაგელოსი**. იმ ხანებში ეს ცნობილი სამხედრო მოღვაწე-მკვლევარი და კარგი მცოდნე აზიური ქვეყნებისა 1895 წელს სწერდა ერთ-ერთ ამ ბიულეტენში შემდეგს:

„საქართველოს შემოერთებით რუსეთს იმპერიას მიეცა საშუალება ძალიან მალე უმნიშვნელოვანის კავკასიის ბაზის ხელში ჩაგდება და მასზე დაყრდნობით გასწორება მარცხენა ფლანგის ხაზის თურქესტან - ბუხარის დაპყრობით და სპარსეთ - ოსმალეთში ფეხის შედგმით. ამ დღიდან რუსეთს ეძლევა პერსპექტივა სპარსეთის ყურესაკენ და დარდანელის სრუტესაკენ გასვლისა. შორს არ არის ის დრო,როცა რუსეთის ძლევამოსილება ჩაუკეტავს ინგლისს სუეცის არხს ინდოეთისაკენ“[1]).

კავკასიაზე და მის ერებზე ისტორიკოსი ინგლისელი ვ. ს. დ. ალლენი უკანასკნელი მსოფლიო ომის წინ, 1939 წელს, სწერდა:

„კავკასიის ერების მნიშვნელობაზე არ შეიძლება სხვა მათი რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, შედარებით 40 მილიონიანი მცხოვრებ უკრაინისა: ქართველები და აზერბეიჯანელები ითვლიან სამ-სამ მილიონ სულს; სომხები და ჩრდილო-კავკასიელები ორ-ორ მილიონს. მაგრამ სტრატეგიულად კავკასიას აქვს მეტი მნიშვნელობა, ვიდრე უკრაინას“-ო[2])

ეს აზრი კავკასიის მცოდნე რუს-ინგლისელი სპეციალისტებისა სავსებით მტკიცდება ჩვენი ხანის ორი მსოფლიო ომის პროცესში. ჯერ კიდევ პირველი ომის დროს გამოისახა გერმანიის სამხედრო - პოლიტიკის სტრატეგიის მიდრეკილება — დაიმკვიდროს კავკასიის ყელი, რაც მან შეასრულა 1918 წლის ზაფხულს მისი დაჭერით, მიუხედავად იმ კრიზისა, რომელსაც განიცდიდა მისი ჯარების წინსვლა დასავლეთ ფრონტებზე.




საიდუმლო აღარ არის, რომ 25 წლის შემდეგ ჰიტლერის გეგმას იერიშის მიტანისა სტალინგრადზე ჰქონდა მთავარი მიზანი გაადვილება და დაჩქარება გერმანულ ავანგარდების წინსვლა სამხრეთისაკენ, კავკასიის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციების დაკავებისათვის, მიუხედავად გერმანული ფრონტების გაყინვისა ლენინგრად - მოსკოვის წინ.

თანამედროვე საბჭოთა სამხედრო - პოლიტიკური სტრატეგიაც, მისი განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა კავკასიის გამაგრებას უნდება. მის შემზადებას როგორც ტრამპლინისა სამხრეთ ქვეყნებისაკენ შესასევად.

მესამე ომის შემთხვევისათვის საბჭოთა აგრესიული გეგმა, დაყრდნობილი კავკასიის ბაზაზე, აღარ არის დამალული და მისი იერიშების მიმართულების გზები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ, ოსმალეთ-სპარსეთ-არაბეთისაკენ, თითქმის ზუსტად ისახება. აქვე მოყვანილი სქემატიური რუქა უკომენტარიოდ ნათლად გვიხატავს საბჭოთა მოსკოვის აგრესიის ხაზებს.

ამ წელს სუეცის არხის გარშემო ამტყდარი ამბავიც სრულადჰყოფს პოლკ. იაგელოს წინასწარმეტყველობას: დადგება ის დრო, როცა რუსეთის ძლევამოსილება, დაყრდნობილი კავკასიის ბაზაზე, ჩაუკეტავს ინგლისს სუეცის არხს-ო. ეს დროც უკვე დამდგარია, და რუსი „ლოცმანები“ მაგრად ჩამსხდარან სუეცში.

ამ მსოფლიო - მნიშვნელობის ნათელი აქტუალური ამბები, ჩვენ თვალწინ მომდინარე, უდავოდ აკუთვნებენ კავკასიას უდიდეს როლს თანამედროვე სამხედრო - პოლიტიკურ შეჯიბრებაში დაპირისპირებული ორი მსოფლიოსი: დასავლეთ - დემოკრატიულისა და რუს - ბოლშევიკურის, თავისუფალ კაცობრობის მსოფლიოსი და მონათა მფლობელ სამეფოსი.

ისტორიას წინასწარ გადაწყვეტილი აქვს, ვის მხარეზე უნდა იყვნენ თავისუფლების მოყვარე კავკასიის ერები თავის უძველეს კულტურით და საერთო კავკასიური ცივილიზაციით.

ამ კავკასიურ ისტორიას ვალაპარაკებთ შემდეგ თავებში.

**დ. ვაჩნაძე.**

[1]) ჩემს არქივში შენახულია ეს ამონაწერი ხსენებული ბიულეტენიდან.

[2])Power Politice in Caucasian and Turkestan by W. S. D. Allen, East „Europe and contemporary Russia“, vol3. 3, No 1 Spring 1939. London.

ლიც მხოლოდ იმ მიზნით უნდა დაეწყო, რომ მექსიკისათვის მიწა-წყალი წაერთმია. მაშ როგორ უნდა განახორციელოს **პოლკმა** მისთვის ღვთით დაკისრებული მისია, თუ ამერიკა არ დაამსხვრევს მექსიკის იმპერიას?

**პოლკის** საბედნიეროდ ტექსასმა თითონ დააყენა კავშირში თავისი საზღვრების საკითხი: ტექსასელები ამტკიცებდნენ, რომ მათი საზღვრი რიო-გრანდე იყო, ხოლო მექსიკელები მდინარე ნუსეს სთვლიდნენ, ე. ი. უფრო ჩრდილოეთით. თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ნესესი მართლაც აღიარებული იყო საზღვრად. მიუხედავად ამისა პრეზიდენტმა **პოლკმა** უბრძანა ამერიკელ გენერალს დაეკავებინა „სადავო“ ტერიტორია და რიოგრანდეს ნაპირები. ამან გამოიწვია პრეზიდენტისათვის სასურველი „ინციდენტი“ და მოკლულ იქმნა რამოდენიმე ჯარის კაცი. მეორე დღესვე (1846 წ. მაისი) შეერთებული შტატების კონგრესმა მექსიკას ომი გამოუცხადა.

1847 წელს, როდესაც **ლინკოლნმა** დაიკავა თავისი ადგილი კონგრესში, ომი ჯერ კიდევ გათავებული არ იყო. მაგრამ ომის მსვლელობა ეჭვს არა სტოვებდა, რომ ამერიკა დაიკავებდა მაღლა კალიფორნიას და ახალი მექსიკის ტერიტორიებს, რომელიც დღეს თითქმის ექვს შტატად არის განაწილებული; კალიფორნია, ნევადა, იუტა არიზონა, ახალი მექსიკა, ნაწილი კოლორადოსი და ვაიომინგი. მაგრამ მიუხედავად ექსპანსიის დიდი სურვილისა, მიუხედავად დიდი უპირატესობისა, რომ ამერიკის კარტა გაიშლებოდა ოკეანედან-ოკეანემდე, მაინც სამხრეთისა და ჩრდილოეთის გონიერი მოღვაწეები გრძნობდნენ პრეზიდენტი პოლკის უსამართლობას და ამ მოქმედებას გმობდნენ. კავშირის დაურღვეველობით დაინტერესებული მოღვაწეებისათვის მთავარი ამოცანა იყო: გადაიტანს და მოინელებს თუ არა კავშირი იმ შინაგან დაპირდაპირებებს, რომელიც ბუნებრივად წარმოშობს ამ ტერიტორიების დაპყრობა?

ახალ ინგლისში **ვალდო ემერსონი** აფრთხილებდა საზოგადოებას „მექსიკა ჩვენ დაგვღუპავსო“. სენატში კი **ჯონ-კოლდუელ კოლხუნი**, სამხრეთის უფლებების წარმომადგენელი, აცხადებდა: „მექსიკა ჩვენთვის ის აღკრძალული ხილია, რომელსაც თან მოჰყვება ჩვენი პოლიტიკური უწყებების დაღუპვაო“.

ლინკოლნს არ მოუხდა ამ პრობლემებთან პირისპირ დატაკება, ვინაიდან კონგრესში მან დაჰყო მხოლოდ ორი წელი (1847—1849), მაგრამ ამ მოკლე პერიოდში მან მოასწრო თავისი დამოკიდებულება გამოემჟღავნებინა მონობის მიმართ, რაც მთავარ მიზეზად შეიქმნა, რომ სამხრეთმა ის შეიძულა. სამხრეთი მას სთვლიდა გადარეულ რადიკალად, ჩრდილოეთი კი კონსერვატორ - შემარიგებლად. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რომ კავშირი ლინკოლნს გადაერჩინა.

1844 წელს **ლინკოლნი** სწერდა: „როგორც არ უნდა პარადოქსალურად ისმოდეს ჩემი სიტყვები, მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი დამოკიდებულება თავისუფალი შტატების მიმართ და თვით თავისუფლების მიმართ, გვავალდებულებს არ ჩავერიოთ მონადმფლობელობის შტატების შინაურ საქმეებში. ამავე დროს საჭიროდ მიმაჩნია არავითარ შემთხვევაში არ შევაჩეროთ ხელის შეწყობა და გამხნევება, რათა მონათმფლობელობის შტატებში ეს ინსტიტუტი ბუნებრივად გარდაიცვალოს. ჩვენ არ უნდა დაუშვათ იმის სხვა ადგილებში გავრცელება, რადგან ბუნებრივად მიგვაჩნია მისი სიკვდილი იქ, სადაც დღეს არსებობსო“.

ამ დროს (ე. ი. 50 წლებში) მთელი ამერიკა შეპყრობილი იყო ერთგვარი ისტერიით და თვით ამისთანა ზომიერ აზროვნებასაც სთვლიდნენ დამაზარალებლად. აბოლიციონისტებისათვის **ლინკოლნი** იყო ამორალური შემგუებელი, ხოლო მონობის გახელებული დამცველებისათვის ის იყო ნამდვილი ტირანი. სინამდვილეში კი მან მხოლოდ ზომიერი განცხადება გააკეთა, რომ არავისა აქვს უფლება ჩაერიოს სხვის შინაურ საქმეებში და ხელი შეეშალა მონათმფლობელობისათვის იქ, სადაც ის უკვე არსებობდა, ასევე, როგორც არავის ჰქონდა უფლება ის „ახალ ადგილებზე გაევრცელებინა“.

**ლინკოლნი** ამ ზომიერებას არასოდეს არ გასცილებია, მაგრამ არც არასოდეს შერიგებია მონობის არსებობის ფაქტს. ის თვით სამოქალაქო ომის პერიოდშიც ცდილობდა მონების ნებაყოფლობით განთავისუფლებას და ფინანსიურ კომპენსაციას ჰპირდებოდა იმ მებატონეს, რომელიც ამ კეთილშობილ აქტს შეასრულებდა. მაგალითად, 1849 წელს, მისი კონგრესში ყოფნის უკანასკნელ წელს, **ლინკოლნმა** შეიტანა წინადადება,— გააუქმოს მონობა კოლუმბიის ოლქის იმ ექვს კვადრატიულ მაილზე, რომელიც ითვლება ფედერატიული მთავრობის რეზიდენციად და რომლის სუვერენული მფლობელი მხოლოდ კონგრესიაო. ლინკოლნის გეგმით მთავრობას უნდა აენაზღაურებინა მეპატრონეებისათვის ამ „საკუთრების“ დაკარგვა. მონების ემანსიპაცია უნდა მომხდარიყო თანდათანობით და ეს პროექტი კანონის ძალას მხოლოდ მაშინ მიიღებდა, როდესაც ოლქის მცხოვრებლები თავის თანხმობას გამოსთქვამდნენ განსაკუთრებული არჩევნებით.

ორ შემთხვევაში **ლინკოლნმა** თითონ გაილაშქრა ისეთი გეგმების წინააღმდეგ, რომლებიც იმავე მიზნის მისაღწევად მოითხოვდნენ უფრო რადიკალურსა და ჩქარ ზომებს. ის ყოველთვის საკითხის კონსერვატიულად გადაჭრის მომხრე იყო. ასეთი ზომიერებით, წონასწორობის ასეთი დაცვით, მორალური რეფორმებისა და ადამიანური შეცდომების შეწყნარებით, **ლინკოლნს** შეეძლო თავიდან აეცდინა სამოქალაქო ომი, რომ პრეზიდენტად აერჩიათ არა 1860-ში, არამედ 1856-ში. მაგრამ ამ დროს მოვლენებში ჩახლართული და სხვა სულისკვეთებით გამსჭვალული მოღვაწეები ეძებდნენ ისეთ პრეზიდენტს, რომელსაც არაფერი არა სწამდა და სჯეროდა, რომელიც ვერ ჩასწვდებოდა ადამიანურ ზრახვებს და არავითარ ინიციატივას არ გამოიჩენდა. მათ კიდეც იპოვეს სათანადო პიროვნება, თუმცა ძვირად დაუჯდა ამერიკას ვიწრო ჰორიზონტის მქონე მოღვაწეობის მიზნის მიღწევა.

**არ. დონაური.**

(გაგრძელება იქნება)

## საბჭოთა სასამართლო

2.

წინა წერილში ჩვენ შევეხეთ თავისუფალი ქვეყნების სასამართლოს და დავასახელეთ ზოგიერთი შემთხვევა, ცხადად მაჩვენებელი ამ სასამართლოს ჰუმანიურობისა. საბჭოთა სასამართლოსა და თავისუფალი ქვეყნების სასამართლოს შორის განსხვავებაა ძირითად პრინციპებში, რომელზედაც დაფუძნებულია თვით სამართალი. თავისუფალ ქვეყნებში სასამართლოს მიზანია ადამიანს მიეცეს საშუალება, ჩადენილი დანაშაული გამოისყიდოს და ისევ დაუბრუნდეს საზოგადოებას. კანონის, საზოგადოებრივი სავალდებულო წესების დამრღვევი ისჯება, მაგრამ მას საშვალება ეძლევა, სასჯელის მოხდისა და კანონის ფარგლებში ახალი ცხოვრების დაწყებისა. საბჭოთა სამართალი ხელმძღვანელობს სრულიად საწინააღმდეგო პრინციპით: ის სპობს დამნაშავედ მიჩნეულს, და ამით აშინებს, ემუქრება ყველას. საბჭოთა სამართალი შურისძიებაა, მისი მიზანია დამნაშავის მოსპობა. მაგრამ ვიდრე მოსპობდეს, დამნაშავედ მიჩნეულთა მილიონებს ექსპლოატაციას უწევს, ერეკება მონური შრომის ბანაკებისაკენ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ამუშავებს სახელმწიფოსათვის. საბჭოთა კავშირში ადამიანი მხოლოდ სამუშაო ძალაა, ხელისუფლება მას ამუშავებს ისევე, როგორც ადამიანი ამუშავებს პირუტყვს. როცა ხარი, ცხენი ან ძროხა იმდენად ბერდება, რომ მას შრომის უნარი აღარა აქვს, მას ჰკლავენ. ასევე უყურებს საბჭოთა ხელისუფლება საერთოდ ადამიანს, ამიტომ რა გასაკვირველია, რომ დამნაშავედ მიჩნეულთა მიმართ არაჩვეულებრივ დაუზოგველობას იჩენს. ამით აიხსნება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თავის არსებობის მანძილზე მრავალი მილიონი ადამიანი დახვრიტა და 20 მილიონამდე ადამიანს სული სძვრება საკონცენტრაციო ბანაკში.

ხოლო თავისუფლების ქვეყნებში, სადაც ადამიანი უმაღლეს ღირებულებადაა აღიარებული და ის ფასდება არა მხოლოდ სამუშაო ძალის, არამედ სულიერი თვისებების მიხედვით, სიკვდილის განაჩენი ძალიან იშვიათი მოვლენაა, და საკონცენტრაციო ბანაკები სრულიად არ არსებობს.

ასეთია პრინციპიალური განსხვავება თავისუფალი ქვეყნებისა და საბჭოთა სასამართლოს შორის. საბჭოების მტკიცება, რომ სამართლის მიზანიც დამნაშავის გამოსწორებაა, სრული სიყალბეა და ფაქტები საწინააღმდეგოს ღაღადებენ.

ეხლა განვიხილოთ, როგორია კულტურული დონე ამ ე. წ. სასამართლოსი. მოვიყვანთ გაზეთ „კომუნისტიდან“ ამოწერილ რამდენიმე განაჩენს. ამ უცნაური, არაჩვეულებრივად დაწერილი დადგენილებების მიხედვით, ყველა, თუნდაც საშუალო კულტურის ადამიანი, ადვილად დაინახავს თუ რამდენად გაუნათლებელი და უვიცები ყოფილან მოსამართლეები საბჭოთა საქართველოში. ზუგდიდის რაიონის სასამართლოს დაუდგენია:

> თუ-კი მოპასუხეს მაძიებელზე მიცემული აქვს 1600 მანეთი ფული და ასევე სიმინდიც 48 ფუთის რაოდენობით და მიუხედავად ამისა შერჩენილი აქვს ხელწერილი და თუ ამხანაგი ისევე თხოულობს ფულს, სასამართლო ამაში უშუალოდ ხედავს სისხლის სამართლის ნიშნებს და აშკარა თაღლითობას. ხოლო სიცრუეს იძახის, ამ შემთხვევაში მოპასუხე პოულობს, ნახულობს აშკარა თაღლითობას. იმისთვის, რომ დღევანდელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობაში, საზოგადოებრივი ცხოვრებაში ადგილი რომ არ ჰქონდეს არა ადამიანურ მსჯელობას და თაღლითობას სასამართლოს ჭეშმარიტების დასადგენად და დამნაშავის სისხლის სამართლის დასასჯელად.“

გაიგეთ რას ამბობს სასამართლოს ეს განაჩენი? ვერც ჩვენ გავიგეთ. აქ თავმოყრილია სიტყვები, რომლებსაც ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ და დარღვეულია ქართული მართლწერის ელემენტარული წესები, ამიტომ შეუძლებელია გაგება, რისი თქმა სურდა სასამართლოს! არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ მოსამართლეს არა აქვს არა თუ იურიდიული განათლება, არამედ საერთოდ არავითარი განათლება, და ქართულ ენაზე წერა-კითხვაც ძალიან ცუდად სცოდნია. როგორ უნდა გაერკვეს ასეთი კაცი, თუნდაც საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსში და როგორ უნდა მისცეს მან საზოგადოებას სამართლიანი განაჩენი? განა ასეთ პრიმიტიულ ადამიანს შეუძლია ჩასწვდეს და გაიგოს, რა არის ნამდვილი სამართალი? რა თქმა უნდა, არა.

არ გეგონოთ, რომ ეს მხოლოდ ზუგდიდის რაიონში ხდება. აი კიდევ რამდენიმე ნიმუში: „საჩხერეს სასამართლოს დაუდგენია:

> დაკმაყოფილდეს თამარა „მიქაძის მოპასუხე, პავლე იოსების ძე გადახდეს ერთი მესამედი ნაწილი, სამი სახლი მარანი, საღორე, სასიმინდე, ძროხა ხბოთი, ქათმები, ბატები, ღორები, 11 კოდი სიმინდი და ჰქა-საინი.“

გაიგეთ, რას ბრძანებს ბ-ნი მოსამართლე? რას ნიშნავს: ერთი მესამედი ნაწილი სამი სახლი მარანი? რამდენი ქათამი, რამდენი ჰქა-საინი? რა უნდა გადახდეს მოპასუხეს?

თბილისის სტალინის რაიონის მეშვიდე უბნის სასამართლოს დაუდგენია:

> „ვინაიდან არა სწორი იყო გადმოგზავნილი ტყიბულის სასამართლოს მიერ თანხის გადახდევინების შესახებ ჯიქიას, რაზედაც მაძიებელმა წარმოადგინა ცნობა. რომ მოპასუხე რომელიც იყო გასამართლებული ტყიბულის სასამართლოს მიერ, არავითარ კავშირში იქმნა ჯიქიასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო საქმე წარმოებით მოისპოს.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ესეც საკმარისია იმის დასანახავად, თუ რა დონეზე სდგას საქართველოში საბჭოთა სასამართლო. აფრიკის პრიმიტიულ ტომებს, ბუშმენებს, ესკიმოსებს და სხვა ნახევრად ველურ ადამიანებს სამართალი თავისებურად ესმით; გასამართლებისა და განაჩენის სისრულეში მოყვანის წესებიც თავისებური აქვთ. საბჭოთა საქართველოს ზემოდნახსენები მოსამართლეები, თავიანთი კულტურის დონით, ამ პრიმიტიული ხალხების მსაჯულებთან უფრო ახლოს სდგანან, ვიდრე ევროპიელ მსაჯულებთან. რა საქმე უნდა გაარჩიოს და რა სამართალი უნდა მისცეს ისეთმა მოსამართლემ, რომელსაც ისიც-კი არ შეუძლია, რომ თავის სამშობლო ენაზე ერთი წინადადება სწორად დასწეროს?! განა სამარცხვინო არ არის, რომ საქართველოს დედა-ქალაქში, ქართული კულტურის ერთ უძველეს ცენტრში, თბილისში, სადაც თითქმის ორმოცი წელია უნივერსიტეტი არსებობს—მოსამართლეები ასეთი ენით ჩმახავდნენ სასამართლოს განაჩენს? განა კულტურის უაღრესად დაცემისა და საზოგადოების პრიმიტიულ დონეზე დასვლის მაჩვენებელი არ არის ასეთი მოსამართლეების ყოლა? კითხვის დასმაც ზედმეტია, აქ შეუძლებელია ორი აზრის არსებობა.

საინტერესოა მაინც, რითი აიხსნება ასეთი სიმახინჯე? ახსნა ერთად ერთია: მოსკოვი ცდილობს ყოველ საქმეში, ყოველ დარგში, თავისი ერთგული მოხელეები დასვას. სასამართლოში ერთგული ხალხის ყოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ცოდნას, განათლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ადამიანი მოსკოვისათვის სანდო იყოს და მაშინ მას შეუძლია ყოველგვარ თანამდებობაზე წამოსკუპება. ნამდვილი მსაჯულების ადგილას ნიშნავენ წერა - კითხვის უცოდინარ, მაგრამ პოლიტიკურად სანდო ხალხს—ეს არის ერთად-ერთი საზომი. ყოველი ადამიანი ფასდება მხოლოდ ამ თვალსაზრისით. ამით აიხსნება, რომ მთელ რიგ, დიდ მნიშვნელობის დაწესებულებებს გაუნათლებელი, უვიცები განაგებენ. ამით აიხსნება ისიც, რომ, მიუხედავად საშინელი ზომების მიღებისა, 36 წლის მანძილზე კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ საქართველოში ყოველ დარგში მინიმალურ შედეგებს მიაღწია. შევეხოთ თუნდაც აღმშენებლობის დარგს.

ამაზე შემდეგ.

**ქართველი**

## საუბარი რუსეთის ექსპერტთან

ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ჰქონდა შემთხვევა ესაუბრა საბჭოთა რუსეთის ერთ ერთ გამოჩენილ ექსპერტთან, რომელსაც დაეკითხა, თუ რას ფიქრობს იგი რუს ბოლშევიზმის განვითარებისა და მისგან მოსალოდნელი შედეგების თაობაზე. მან სთქვა:

საბჭოთა რუსეთში განვითარება მიდის ნაციონალ - ბოლშევიზმისაკენ.

მისი მსოფლიო რევოლუციის თეზისი ღებულობს რუსულ იმპერიალისტურ ხასიათს. ცარისტული რუსეთის იმპერიალისტური სულისკვეთება (იმპერიალიზმი - ექსპანსია - პანსლავიზმი) კვლავ აღორძინდა («великий русский народ», «старший брат».) .თუ ძველ რუსეთს „პრავოსლავიე“ იდეოლოგიურ შინაარსად ჰქონდა და ამით შეზღუდული იყო. ბოლშევიკურ რუსეთს აქვს გამოცხადებული ბაზად „კომუნიზმის იდეოლოგია“ მთელ მსოფლიოს სივრცით. მაგრამ ეს მისი კომუნისტური შინაარსი უფრო და უფრო შორდება თავის ძველ მარქსისტულ იდეოლოგიას და ჩქარი ნაბიჯით უახლოვდება სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს.

ამგვარად ნაციონალ-ბოლშევიზმი, ეს რუსული ნაციონალიზმი - იმპერიალიზმი,გვევლინება ახალი სახით. „კომუნიზმის იდეოლოგიას“ კი იყენებს როგორც დამხმარე იარაღს მსოფლიოს დაპყრობისათვის.

რუსობამ ემიგრაციაში ეს შეიგნო; ამიტომ მათში მკვიდრდება საბჭოთა რუსეთის ორიენტაცია. ამის გამო უკვე ბევრნი ბრუნდებიან. თუ ერთი ნაწილი ნაციონალური რუსის ემიგრაციისა ჯერ არ ბრუნდება, ეს იმით აიხსნება, რომ მოსკოვის რეჟიმის სტაბილიზაციისა საბოლოო ნდობა ჯერ არა აქვს. თუ ამაში დარწმუნდნენ, მაშინ ესენიც ნელ-ნელა დაიძვრებიან; ეხლა კი „პერესტრახოვკა“ სჭირდებათ. ამერიკელები რუსობას აღარ უნდა ენდონ; რუსები უღალატებენ მათ, რაც უმთავრესია, საბოტაჟს გაუწევენ. გარეგნულად ვითომ შველიან, ფაქტიურად მუშაობაში ხელს შეუშლიან და ნელ-ნელა მოსკოვის აგენტურად გადაიქცევიან.

მაშასადამე, ამერიკელებს შეუძლიათ თავიანთი ხაზი მხოლოდ არარუსების ძალების დახმარებით განახორციელონ. მხოლოდ არარუსების ერების ძალებს უნდა დაეყრდნონ. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

დღეს თავის თანხების უდიდეს ნაწილს ხარჯავენ პოტენციალურ (დღეს პოტენციალურ და ხვალ შეიძლება აქტიურ) მტრებზე.

**ერ.—დ.**

---

**ბავარიის რადიო სადგურის**
**14 ივლისის 1956 წ. გადაცემა**
**პროფ. დრ. დრ. მიხეილ ახმეტელის**
**მოხსენების თაობაზე**

41429 D. 14.7.56.

თემა: ახმეტელი

სტრიქონი: 10.

სრულიად გერმანიის სახალხო ორგანიზაციების კავშირის საბჭოს წინაშე (B. H. E.) ქ. მიუნხენში გუშინ გააკეთა მოხსენება ყოფილმა ხელმძღვანელმა აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტისა ბერლინში პროფესორმა დრ. ახმეტელმა. ამ მოხსენების თემა იყო: „შინაგანი პოლიტიკური განვითარება საბჭოთა რუსეთისა სტალინის შემდეგ“.

პროფ. ახმეტელი, რომელიც ითვლება მცირე რიცხოვან ერთ ექსპერტად რუსეთისა, გამოსთქვამდა აზრს, რომ წითელი არმიის გავლენა თანდათან იზრდება. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ განვითარება მისი ადრე თუ გვიან მიიყვანს სამხედრო დიქტატურამდე. ყოველ შემთხვევაში, პროფ. ახმეტელის აზრით მომავალ ძლიერ პიროვნებად საბჭოთა პოლიტიკისა შეიძლებოდა ჩათვლა გენერალ ჟუკოვისა.

(თარგმანი გერმანულიდან).

პროფ. ახმეტელმა გერმანიაში უკვე ოთხი მოხსენება გააკეთა, დიდი დადებითი შეფასებით. კვლავ მიწვეულია სამი მოხსენების გასაკეთებლად.

მისი ხელმძღვანელობით არსებულ ბერლინში Wanssee Institut-მა 1942 წ. გამოსცა დიდი მეცნიერული კვლევა ძიების შრომა „Kaukasus“.

* * *

---

ამ წელს გამოქვეყნებულ „სახალხო მეურნეობა სსსრ“-ში მცხოვრებთა რიცხვი 1956 წელს ნაჩვენებია: საქართველო 4 მილიონი. თბილისი 635 ათასი..

აზერბეიჯანი — 3.400.000.

სომხეთი — 1.600.000..

EDITORIAL BOARD Dr. G. Gabliani , S. Kaishauri, G. Lolua.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.
12-29 — 120 St. College Point. L. I.